

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის

საქმიანობის ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: 2022 წლის იანვარი-დეკემბერი

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი საქმიანობას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით:

- ა) ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მართვა;
- ბ) უწყვეტი განათლება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მართვის მიმართულებით ცენტრის მიზნებია:

- ა) მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნაში მონაწილეობის მიღება;
- ბ) ინდივიდის პროფესიული განვითარების, შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- გ) საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების საფუძველზე, ბსუ-ს აკადემიურმა საბჭომ 2020 წლის 5 თებერვალს დაამტკიცა „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“, ხოლო ბსუ-ს აკადემიურმა საბჭომ 2020 წლის 12 მარტის №06-01/23 დადგენილებით დაამტკიცა სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა. აღნიშნული სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე შემუშავდა და დამტკიცდა ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2022 წელი).

წარმოგიდგენთ პროფესიული განათლების მიმართულებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების ერთწლიანი (2022 წელი)

გეგმის შესრულების მიზნით ცენტრის კოორდინაციით განხორციელებულ აქტივობებს:

საგანმანათლებლო პროგრამები

საანგარიშო პერიოდში ბსუ-მ მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების უფლება.

საანგარიშო პერიოდში ბსუ ახორციელებდა 7 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. 2022 წლის განმავლობაში 112 პროფესიულ სტუდენტს მიენიჭა შესაბამისი კვალიფიკაცია, ხოლო 2022 წლის საშემოდგომო მიღების შედეგად ჩაირიცხა 125 პროფესიული სტუდენტი (6 პროგრამაზე). ამჟამად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 149 პროფესიული სტუდენტი ირიცხება.

ეს პროგრამებია:

- საფინანსო სერვისები;
- ბუღალტრული აღრიცხვა;
- მეზაღობა;
- სატყეო საქმე;
- ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა;
- საბიბლიოთეკო საქმე

ბსუ წლების განმავლობაში ახორციელებდა პრაქტიკოსი ექთნის, ფარმაცევტის, ბაგა-ბალის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. აღნიშნული პროგრამების პროფესიული ჩარჩო დოკუმენტების ცვლილების გამოდღის წესრიგში დადგა ახალი პროგრამების („საექთნო განათლება“, „ფარმაცია (სააფთიაქო)“, „აღმზრდელი“) შემუშავება/დამატების საკითხი. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ახალი პროგრამების დამატებისათვის საჭირო სამუშაოები. კერძოდ, ჩატარდა ბაზრის კვლევა, შეფასდა პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი, მოხდა ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე პროგრამების მოდიფიცირება. ორი საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ და „აღმზრდელი“, მზადაა განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნულ ცენტრში წარსადგენად. „ფარმაციის“ პროგრამის წარდგენა იგეგმება 2023 წელს, რადგან ამ ეტაპზე ბსუ-ს შესყიდვების სამსახური აწარმოებს ლაბორატორიის ინვენტარის შესყიდვას (საჭირო თანხა გათვალისწინებულია ბსუ-ს 2022 წლის ბიუჯეტში).

ცენტრი 2023 წლისთვის გეგმავს სამი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის ინტეგრირებულის) შემუშავება-დამატებას. კერძოდ: ელექტროობა (მე- დონე); ელექტროობა, მე-4 დონე. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან ცენტრის კოორდინირებული მუშაობის შედეგად ბსუ-მ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოიპოვა დაფინანსება ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რესურსების შეძენის მიზნით.. სულ ბსუ-თვის გამოიყო 140 000 ლარი, ამ ეტაპზე შეძენილია 110 000 ლარის აღჭურვილობა.

ასევე სააგენტო ბსუ-თვის შეისყიდის კომპიუტერულ ტექნიკას

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პროფესიული მომზადების პროგრამა „ტყის მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ (ჩარიცხული 20-დან 17 მსმენელმა წარმატებით დაასრულა პროგრამა, მათგან 15 დასაქმდა სპეციალობით). პროგრამამ დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში, რის გამოც ამ ეტაპზე ცენტრი ემზადება ახალი მიღების გამოცხადებისთვის.

შემუშავდა პროფესიული გადამზადების ახალი პროგრამები:

- „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“;
- „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“.

პროფესიული გადამზადების პროგრამა „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ განხორციელდება ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბაზაზე. პროგრამა შედგენილია ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „ლაბორატორიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების კურსები ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში“ ფარგლებში. პროგრამის ავტორიზაციის, ასევე პროგრამაზე მიღების, განხორციელებისა და მსმენელთა სერტიფიცირების პროცესს კოორდინირებას უწევს ცენტრი. საანგარიშო პერიოდში პროგრამა

„ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ გაიარა 30 მსმენელმა (ამათგან 24 დასაქმებულმა სპეციალობით). საზოგადოების დიდი მოთხოვნიდან გამომდინარე, ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს ფაკულტეტთან აღნიშნულ პროგრამაზე ახალი ნაკადის მიღების მიზნით. ცენტრი მზადაა მიღება გამოაცხადოს კიდევ 20 მსმენელზე.

პროფესიული გადამზადების პროგრამა „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ მომზადდა ფიტოსანიტარიის პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „მომავლის ფერმერი“ აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მხარდაჭერით. პროგრამის ავტორიზაციის, ასევე პროგრამაზე მიღების, განხორციელებისა და მსმენელთა სერტიფიცირების პროცესს კოორდინირებას უწევს ცენტრი. პროგრამის შემუშავების, ავტორიზაციის, მსმენელთა სერტიფიცირების ხარჯები სრულად დაფარა პროექტმა. პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ასევე 20 მსმენელის გადამზადება და მათი სერტიფიკატების დამზადების ხარჯები.

2021 წელს გაეროს განვითარების პროგრამამ გამოაცხადა საგრანტო კონკურსი, რომლის მიზანი იყო საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ხელშეწყობა სხვადასხვა მიამრთულებით. აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის შედეგად ბსუ-მ მოიპოვა პროექტის „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლებისა და ტრენინგის (VET) სისტემის მოდერნიზაცია (VET ფაზა 2; Project N 00102163) განხორციელების უფლება.

პროექტის მიზანი იყო პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების კუთხით ბსუ-ს როლის გაზრდა. კერძოდ, პროექტის ფარგლებში დაიგეგმა კომპანიის ინსტრუქტორის მოკლევადიანი გადამზადების პროგრამის შემუშავება, პროგრამის პილოტირება. გრძელვადიან პერსპექტივაში კი დაიგეგმა პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაინტერესებული მხარეებისთვის შეთავაზება. პროექტის ხანგრძლივობა იყო 9 თვე - 2021 წლის 1 ოქტომბრიდან 2022 წლის 31 ივლისის ჩათვლით. საანგარიშო პერიოდში შემუშავდა მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა „**პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების ინსტრუქტორების უნარების განვითარება**“, შესაბამისი სასწავლო რესურსით, აგრეთვე გადამზადდა პროგრამის პირველი 25 მსმენელი.

დღეისათვის მხოლოდ ბსუ ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას საქართველოს მასშტაბით.

პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერა და სტუდენტური სერვისების განვითარება

აღნიშნული მიზნის მისაღწევად სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის სამსახურის წარმომადგენლები, ცენტრის პერსონალი, პროგრამების ხელმძღვანელები ატარებდნენ შეხვედრებს პროფესიული განათლების სტუდენტებთან დამატებითი აქტივობების (კურიკულუმის გარეშე) წახალისებისა და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმების გაცნობის მიზნით. თუმცა ვერ მოხერხდა პროფესიულ სტუდენტებთან აქტიური თანამშრომლობა და ასევე ვერ მოხდა პროფესიული სტუდენტების ბსუ-ს სტუდენტურ პორტალზე ინტეგრირება.

სსსმ პროფესიული სტუდენტების (კვალიფიკაცია მიენიჭა 3 სტუდენტს, აქტიურია - 3) მხარდაჭერის მიზნით მოწვეულია სპეციალური განათლების მასწავლებელი და სსსმ სტუდენტის ასისტენტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „სატყეო საქმე“ და „მებაღეობა“ სტუდენტებისათვის და პროგრამაში ჩართული პერსონალისთვის შედგა წიგნის „აჭარის ხელუხლებელი ტყეები“ წარდგენა (ავტორები: ქეთევან სამადაშვილი, ლელა ჯანაშია, დავით ხარაზიშვილი). პუბლიკაცია მომზადებულია „აჭარის ხელუხლებელი ტყეების შენარჩუნება და მართვა“ პროექტის ფარგლებში აჭარის სატყეო სააგენტოსთან თანამშრომლობით. პუბლიკაცია საჩუქრად გადაეცა ცენტრის ბიბლიოთეკას.

UNDP პროექტის ფარგლებში ბსუ-ს პროფესიული პროგრამებისთვის (კერძოდ, ბიბლიოთეკისთვის) შეძენილი იქნა 24 694 ლარის ღირებულების აღჭურვილობა. საანგარიშო პერიოდი დასრულდა ახალი სასწავლო კორპუსის მოწყობა (კეთილმოეწყო შენობის ინტერიერი, დამონტაჟდა ვიდეო სამეთვალყურეო კამერები, მოეწყო ჰიბრიდული საკონფერენციო დარბაზი), რომელიც მორგებულია პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე და აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტს.

პერსონალის განვითარების ხელშეწყობა

ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი სისტემატიურად ახორციელებდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ცენტრის პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას; პროფესიული განათლების მასწავლებლებს უტარდებოდათ საჭიროებებზე მორგებული ტრენინგები, ხოლო სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფდა სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას.

გაეროს ასოციაციისა და ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს ინიციატივით მარკეტინგისა და მარკეტინგული კომუნიკაციების ტრენინგი ჩატარდა, რომელსაც ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ტრენინგს ორგანიზაცია „ჯეპრას“ პარტნიორი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტისა და ილიაუნის ლექტორი კახა მაღრაძე უძღვებოდა.

2022 წლიწ 21-23 ივნისს, სახელმწიფო და კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, პროფესიული უნარების სააგენტოს ორგანიზებით, კონფერენცია „უნარების ეკოსისტემა და რეფორმის ახალი ეტაპი“ გაიმართა. კონფერენციის მიზანი იყო საჯარო და კერძო კოლეჯების წარმომადგენლებისთვის პროფესიულ განათლებაში მიმდინარე რეფორმის ახალი ეტაპის გაცნობა, ამ პროცესში მათი როლისა და მნიშვნელობის ხაზგასმა და სააგენტოს მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გაზიარება. კონფერენციის ფარგლებში, მხარეებს შორის დისკუსია გაიმართა, მონაწილეებმა რეფორმის ეტაპზე მიმდინარე საკითხებზე ისაუბრეს, სამომავლო ნაბიჯები განიხილეს და თავიანთი მოსაზრებები გააზიარეს. სააგენტოს და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროებები და რეკომენდაციები მოისმინეს. ღონისძიებაში მონაწილეობდა ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი მადონა მიქელაძე.

2022 წლის 21 მაისს ბათუმში პროფესიული უნარების სააგენტოს ინიციატივით და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი „პროფესიული განათლების პრაქტიკოსი მკვლევარი“. ტრენინგს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ტრენინგის მიზანი - პროფესიულ განათლებაში კვლევის მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერებაა. ტრენინგს უძღვებოდა მაინცის იოჰანეს გუტენბერგის უნივერსიტეტის პროფესორი დოქტორი მარკუს ბიონერი. ტრენინგის ფარგლებში, განხილული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორცაა პროფესიულ განათლებაში კვლევის მნიშვნელობა და პროფესიული განათლების მიმართულებით ჩატარებული კვლევის საბაზისო წესები.

2022 წლის 1 ივლისს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებს პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ტრენინგი ბათუმის რეფერარული კლინიკის მთავარმა მედდამ ინგა კილტავამ ჩაუტარა. აღნიშნული ტრენინგები ცენტრის პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებს ყოველწლიურად უტარდებათ.

2022 წლის 9, 10 და 11 დეკემბერს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში, პროფესიული უნარების სააგენტოს ორგანიზებითა და მხარდაჭერით, ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ჩატარდა ტრენინგი "სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება".

ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლებს ტრენინგები ჩაუტარდათ „ცოდნისა და უნარების განვითარების ქსელებისა და პლატფორმების გაძლიერების პროექტის“ (LINKS) ფარგლებში გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე. პროექტი LINKS-ი ევროკავშირის „განათლება დასაქმებისთვის“ (Skills4Jobs) პროგრამის ფარგლებში ხორციელდება და მიზნად ისახავს ცოდნის და უნარების განვითარებისა და დასაქმების ხელშემწყობი პლატფორმების, რესურსებისა და ღონისძიებების ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან

შესაბამისობის გაზრდას ოთხ რეგიონში: აჭარა, გურია, შიდა ქართლი და ქვემო ქართლი. აჭარის რეგიონიდან პროექტში პროფესიული პროგრამების განმხორციელებელი 4 დაწესებულებაა ჩართული: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია კოლეჯები „ბლექსი“ და „ახალი ტალღა“. 6-7 ივნისს პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებისთვის პროექტის ფარგლებში, ბორჯომში ჩატარდა სემინარი. სემინარში მონაწილეობას იღებდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პერსონალი და პროფესიული განათლების მასწავლებლები.

უწყვეტი განათლების მიმართულებით საანგარიშო პერიოდში ცენტრმა კოორდინაცია გაუწია შემდეგ აქტივობებს და მოკლევადიანი პროგრამების განხორციელების პროცესს:

- პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების ინსტრუქტორის უნარების განვითარება;
- საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1 (2d LT);
- აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების 100 საათიანი ტრენინგ-მოდული. ბსუ-მ საბავშვო ბაღების გაერთიანებებს ასევე შესთავაზა მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა - **„აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“**. პროგრამა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის №68/ნ ბრძანებით დამტკიცდა. ბსუ-მ აღნიშნული ტრენინგ-მოდულის განხორციელების უფლება 2020 წელს მოიპოვა. 2022 წელს აღნიშნული პროგრამით გადამზადდა ქედის და შუახევის მუნიციპალიტეტების და ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებებმა. პროგრამის ფარგლებში უკვე გადამზადდა 175 მსმენელი
- ქცევის გამოყენებითი ანალიზის საბაზისო კურსი;
- მედიაცია;

➤ ქართული ენა უცხოელთათვის

„USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის“ ფარგლებში ბსუ 2020 წლიდან აჭარისა და გურიის რეგიონების 326 საჯარო სკოლასთან თანამშრომლობს. აღნიშნული სკოლების დირექტორებსა და სკოლებიდან შერჩეულ 978 მასწავლებელს სისტემატურად ონლაინ ფორმატში უტარდებათ ტრენინგები/ვებინარები/მცირე ჯგუფების (ქოუჩინგის) სესიები, ხდება პირისპირ საკლასო დაკვირვება (2022 წლის გაზაფხულზე და შემოდგომაზე ბსუ-ს ტრენერების მიერ დაკვირვება განხორციელდა სულ 900-მდე გაკვეთილზე, ასევე ხდება დაკვირვება მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეხვედრებზე შესაბამისი უკუკავშირით.

პროგრამის ფარგლებში 2022 წლის განმავლობაში ბსუ-მ ბათუმის 6 საჯარო სკოლაში განახორციელა იდეატორთა 6 კლუბი, რომელთა განხორციელების მიზნით ბსუ-სთან ითანამშრომლეს ბიზნესის სექტორის წარმომადგენლებმა. მიმდინარე ეტაპზე აჭარისა და გურიის 10 საჯარო სკოლაში ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, სტუდენტების და ბიზნეს-სექტორის ჩართულობით ფუნქციონირებს 5 იდეატორთა და 5 კითხვის კლუბი. კლუბების განხორციელების მიზნით ბსუ-სთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა შემდეგმა ბიზნეს-ლიდერებმა: სამშენებლო კომპანიები „ჰორიზონს ჯგუფი“ და „ანაგი“, ბაზისბანკი, აჭარის საექთნო ასოციაცია/ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი, კლინიკა „ჰელსი“, ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლების „პროგრესის“ ქსელი, შპს „ნეოფარმი“, ხილის საწარმო „კერკი“, ჰიდროელექტროსადგური „ბახვი 2“, სასტუმრო „შატო ივერი“ და გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“. კლუბების ფარგლებში განხორციელებული პროექტების პრეზენტაცია დაგეგმილია 2023 წლის მაისის თვისთვის.

სკოლებთან თანამშრომლობის გზით უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის გაძლიერების/პროფესიული განვითარების ხელშეწყობის გარდა, „USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამა“ აქტიურად მუშაობს ზოგადი განათლების დაწყებითი

საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში მხარდაჭერის თვალსაზრისითაც. 2022-2023 სასწავლო წლიდან ცვლილება შევიდა პროგრამის 12 სავალდებულო სასწავლო კურსის სილაბუსში. ცვლილება შევიდა, ასევე 2 სავალდებულო სასწავლო კურსის სალექციო მასალაში. პროგრამის ინიციატივით, მიმდინარე საგრანტო წელს იგეგმება ცვლილებების შეტანა „მასწავლებლის განათლების“ უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში (განსაკუთრებით, სასკოლო პრაქტიკის კომპონენტის დაგეგმვა-განხორციელების ნაწილში), მიმდინარეობს მუშაობა პრაქტიკის გზამკვლევის შემუშავებაზე, ითარგმნა პროგრამის ექსპერტებთან შეთანხმებული 1 პოპულარული სტატია და ქართულ ენაზე მზადდება სალექციო მასალები სასწავლო კურსისთვის „კვლევის მეთოდები განათლებაში“.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში:

- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების მიზნით ჩატარდა კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა;
- მუდმივად ხორციელდებოდა სასწავლო პროცესის მონიტორინგი, მათ შორის პრაქტიკის ობიექტებზე.
- ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის კოორდინირებით განხორციელდა შეფასების შიდა ვერიფიკაციის პროცესი.
- სისტემატიურად ტარდებოდა შეხვედრები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან სწავლებისა და სწავლის პროცესში სიახლეების დანერგვის საჭიროებების დადგენის მიზნით.
- საანგარიშო პერიოდში ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის ჩართულობით, საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციებზე დაყრდნობით, გარკვეული ცვლილებები და დამატებები შევიდა, როგორც საუნივერსიტეტო, ასევე პროფესიული განათლების მიმართულებით სამართლებრივ აქტებში.

